# პრივატიზების მაცნე

№ 15

16-31 ოქტომბერი, 1995 წელი

PRIVATIZATION HERALD

საინფორმაციო-სარეკლამო გაზეთი | გამოდის 1993 წლიდან | ფასი 25 თეთრი


## ნომერშია


ჩატარდა არჩევნები: არჩეულია რესპუბლიკის პრეზიდენტი, პარლამენტი — გვ. 1

მიღებულია მინისტრთა კაბინეტის დადგენილება — გვ. 1

დამტკიცდა ანგარიშსწორების წესი — გვ. 2

ჩვენ რას ვაკეთებთ? — გვ. 2

დამტკიცდა მე-20, 21-ე აუქციონებზე გასატანი ობიექტების ნუსხა — გვ. 3

კონკურსში გაიმარჯვეს... — გვ. 4

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კონკურსს — გვ. 5

შეგიძლიათ გაიღრმაოთ ცოდნა — გვ. 5

მე-11, მე-12 აუქციონების მოკლე ანალიზი — გვ. 6

რესტრუქტურირების პროგრამის კომპონენტები — გვ. 7

მოსენერგოს აქციები მსოფლიო ბაზარზე — გვ. 8

ჩვენი ლექსიკონი — გვ. 8



ნომერშია


# არჩევნები ჩატარდა: არჩეულია პრეზიდენტი, პარლამენტი არის ვაკანსიაც

1995 წლის 5 ნოემბერი ისტორიის კუთვნილებად იქცა და ქვეყნის მატიანეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თარიღად შევიდა — ჩატარდა პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნები. ვერ ვიტყვით, რომ ამომრჩევლები დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მაინც მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ მაინც გამოხატა თავისი ნება, საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება, სიმპათია-ანტიპათია არჩევნებში მონაწილე 6 ათეულზე მეტი პარტიისა და მაჟორიტარული წესით კენჭისყრელი დეპუტატობის ათასობით კანდიდატისადმი.

ძირითადად გამართლდა წინასაარჩევნო პერიოდში გამოთქმული პროგნოზები. თუმცა მოულოდნელობასაც ჰქონდა ადგილი, როგორც პარტიების, ისე ცალკეული დეპუტატობის კანდიდატების მიერ მოგროვებული ხმების გათვალისწინებით.

მთავარი მაინც ის არის, რომ არჩევნები მეტ-ნაკლებად დემოკრატიული წესით, თვალშისაცემი ზეწოლის გარეშე ჩატარდა, ყოველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია საარჩევნო წესის განსაკუთრებულ დარღვევებს, რასაც მეთვალყურეთა აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის უცხოელი დამკვირვებლებიც აღნიშნავენ. არც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესულა სერიოზული სახის სიგნალები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსთავის საარჩევნო ოლქს, სადაც შედეგები გაუქმდა და არჩევნები ახლად უნდა ჩატარდეს. აღინიშნა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რომლებიც არჩევნების შედეგებზე გავლენას ვერ ახდენენ...

საარჩევნო უბნებში ხმის მისაცემად მისულ ამომრჩევლებს ეძლეოდათ უჩვეულოდ გრძელი სიები, რომლებშიც ერთბაშად გარკვევა არც ისე იოლი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არჩევანი წინასწარ გაკეთებული ჰქონდა და საარჩევნო ყუთებთანაც დიდი რიგები არ იქმნებოდა.

პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ედუარდ შევარდნაძემ და კიდევ ხუთი წლით სახელმწიფოს სათავეში დარჩა. ეს პირადად მის დიდ ავტორიტეტზეც მეტყველებს და, რაც მთავარია, სახელმწიფო მეთაურისადმი ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობის დიდი ნდობის გამოხატულებაც არის. როგორც ჩანს, მოსახლეობა იწონებს ქვეყნის მეთაურის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მისი მეთაურობის დროს განხორციელებულ გარდაქმნებს, კრიმინოგენულ ელემენტებთან ბრძოლის შედეგებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი ენდობა სახელმწიფოს მეთაურს, მხარს უჭერს მის პოლიტიკურ მოქმედებას და იმედი აქვს, რომ პრეზიდენტი უთუოდ გამოიყვანს ქვეყანას იმ ღრმა პოლიტიკური და სოციალური კრიზისიდან, რომელშიც საქართველო ამ ბოლო წლებში მოექცა.

ამის გათვალისწინებით სულ არ ყოფილა მოულოდნელი არჩევნებში მოქალაქეთა კავშირის გამარჯვება, რომელმაც, ფაქტიურად უზრუნველყო პარლამენტში თავისი უმრავლესობა. ეს მარტო მოქნილი წინასაარჩევნო კამპანიის შედეგი არ უნდა იყოს. მოქალაქეთა კავშირის უკან დგას ქვეყნის პრეზიდენტი და, ცხადია, კავშირში ხალხი ხედავს იმ ძალას, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს აქტიურად დაეხმარება არჩეული კურსის გატარებაში, კურსისა, რომელიც მიმართულია საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების, რესპუბლიკაში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისაკენ.

ეტყობა, ყოველთვის დიდია პიროვნების როლი განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში. ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს აღორძინების კავშირის გამარჯვება. ეს პარტია დაკავშირებულია ასლან აბაშიძის სახელთან, რომელსაც, როგორც ჩანს (რამდენჯერმე აღინიშნა კიდევაც), მხარდამჭერი აჭარის ფარგლებს გარეთაც ყავს. სხვათაშორის არც ისე ცოტა. ეს, ალბათ, ის ხალხია, რომელიც ყურადღებით აკვირდება საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე მიმდინარე პროცესებს, იმ ალმშენებლობით საქმიანობას, რომელიც ამ ბოლო წლებში აჭარის რეგიონში მიმდინარეობს და შედეგებიც თვალსაჩინო აქვს.

ასევე მოულოდნელი არ ყოფილა საპარლამენტო არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვება, რომელსაც არ გასჭირვებია ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვა და არჩევნებში ადგილების გარკვეული რაოდენობის მოპოვება. ეროვნულ-დემოკრატთა ეს წარმატება უპირველესად, ალბათ, მათ იმ თანმიმდევრულ და პრინციპულ პოლიტიკას უკავშირდება, რომელსაც ისინი ახორციელებენ და რომელიც სულ არ ყოფილა მოკლებული კონსტრუქციულ პრინციპს საკვანძო საკითხების გადაწყვეტაში.

სრულიად მოულოდნელი იყო ტრადიციონალისტების დარჩენა პარლამენტის გარეთ, არჩევნებამდე ისე ჩანდა, თითქოს ტრადიციონალისტებს არ უნდა გასჭირვებოდათ პარლამენტში მოხვედრა, პროგნოზებიც იმაზე მეტყველებდნენ, რომ მათ თავიანთი ადგილები უნდა გაენაღდებინათ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ პროგნოზი და მოლოდინი რეალობას დაშორდნენ და ეს ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური ძალა პარლამენტის გარეთ დარჩა. ასევე მოულოდნელი იყო რესპუბლიკური პარტიის მარცხი, რომელიც არჩევნების წინა პერიოდში მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სიმპათიით სარგებლობდა.

რატომ მოხდა, რამ განაპირობა ამ ორი პარტიის მოულოდნელი მარცხი? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა დღეს ნამდვილად ძნელია. მომხდარის საგულდაგულო ანალიზი და არგუმენტირებული, დამაჯერებელი პასუხის გაცემა დროის საქმეა, რაც მთავარია, თვით ამ პარტიებისგან მოითხოვს საგულდაგულო განხილვას, მომავლისათვის საჭირო დასკვნების გაკეთებას. ასეთსავე მდგომარეობაში არიან ის პარტიებიც, რომლებთაც წინა პარლამენტში ყავდათ თავიანთი წარმომადგენლები და დღეს პრაქტიკულად ვერ შესძლეს თავიანთი შესაძლებლობების ფაქტიურად დამტკიცება. ძნელი სათქმელია, თუ რა მოუვათ მათ მომავალში. ერთი კი ცხადია: ზოგიერთი მათგანი ვერ გაუძლებს დროის მკაცრ გამოცდას და შეერწყმება მსგავსი პლატფორმის მქონე პოლიტიკურ ძალებს. თუმცა ბევრი მათგანის საზოგადოებრივი ასპარეზიდან გასვლა მაინცდამაინც სასარგებლო არ უნდა იყოს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ურიგო არ უნდა იყოს მოქალაქეთა კავშირის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც არჩევნების ჩატარებისთანავე გახდა ცნობილი. მხედველობაში გვაქვს ის, რომ კავშირისა და მის გენერალურ მდივანს ზურაბ ჟვანიას მიზანშეწონილად მიაჩნიათ პარლამენტის გარეთ დარჩენილი პარტიებისაგან შეიქმნას საკონსულტაციო საბჭო, სადაც ისინი იმსჯელებენ ქვეყნის ყველაზე მტკივნეულ, უფრო ზუსტად ყველაზე არსებით, ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ეს საბჭო არ იქნება ქვეყნის ცხოვრებაზე რეალური ზეგავლენის უნარის მქონე ორგანო და მას მხოლოდ იმის საშუალება ექნება, რომ შეასრულოს ერთგვარი მრჩევლის როლი.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მოქალაქეთა კავშირის ამ წინადადებას ერთგვაროვნად არც ერთი პარლამენტის გარეთ დარჩენილი პარტია არ შეხვედრია, ცხადია, აღფრთოვანებაც არ გამოუხატავს. ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ დრო უებარი მკურნალია და ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება დროის, სიტუაციის გათვალისწინებით შეიცვალოს, გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადოს.

აღდგომა და ხვალეო, დრო გამოაჩენს ვინ რა გზას დაადგება, რა საშუალებებით შეეცდება დაკარგული პოზიციების აღდგენას, თუ პოლიტიკური ძლიერების განმტკიცებას, ქვეყნის მართვაში თავისი ადგილის, ზეგავლენის ბერკეტების მონახვას...

ყველაფერი არც მაჟორიტარული წესით კენჭისყრელ კანდიდატებს შორის არის გარკვეული. როგორც ცნობილია, ზოგიერთ საარჩევნო ოლქებში კანდიდატებმა ვერ მოაგროვეს ხმების საჭირო რაოდენობა და მათთვის ყველაფერს 19 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრა გადაწყვეტს. თუმცა ეს არ არის გადამწყვეტი.

რაც მთავარია, არჩეულია პრეზიდენტი, არჩეულია პარლამენტი. ქვეყანას ყავს კანონიერი საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელსაც წინ უდიდესი საქმეები ელის.

# გადაეცათ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა იმსჯელა „საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს რიგ საწარმოთა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ" და მიიღო შესაბამისი დადგენილება. ამ გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა ეკონომიკისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებთან შეთანხმებული, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 8 თებერვლის № 38 ბრძანებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით მომზადებული საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის სამინისტროს წინადადება ადგილობრივ (მუნიციპალურ) დაქვემდებარებაში გადაეცეს მრეწველობის სამინისტროს კუთვნილი მთელი რიგი საწარმოები. აქვე დამტკიცდა ამ საწარმოთა ნუსხა, რომელიც ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე. მინისტრთა კაბინეტის აღნიშნული დადგენილების თანახმად დანართში მითითებულ საწარმოთა პრივატიზება დადგენილი წესით უნდა განახორციელონ შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა. განსაზღვრულია გადაცემის ვადაც — 1996 წლის 1 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა სამინისტროებს, უწყებებს დაავალა ერთი თვის ვადაში მოამზადონ და მთავრობაში წარადგინონ იმ საწარმოების (ბიუჯეტების) ნუსხა, რომელთა გადაცემა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების დაქვემდებარებაში მიზანშეწონილი და საჭიროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში

# მარეგულირებელი კოეფიციენტის გამოყენებით

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ამასწინანდელმა კოლეგიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში თავისუფალი საბაზრო ფასების დამკვიდრების გათვალისწინებით, "საპრივატიზაციო საწარმოების (ობიექტების) ღირებულების შეფასების დროებითი მითითებანი, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს საპრივატიზაციო კომისიების ერთადერთ სახელმძღვანელო დოკუმენტს ობიექტის გასაყიდი ფასის განსაზღვრის დროს, რიგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს პურპროდუქტების მრეწველობის სისტემის ქონების პასიური ნაწილის (არასაცხოვრებელი საწარმოო ფართის) რეალური ღირებულების შეფასებას და ხშირად თავისუფალ საბაზრო ფასებზე მნიშვნელოვნად ნაკლები გამოდის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს კოლეგიამ დაადგინა:

"პურპროდუქტების მრეწველობის სისტემის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების დროს სახელმწიფო ქონების პასიური ნაწილის აფასებისას საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნას მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომელიც უზრუნველყოფს საპრივატიზაციო ობიექტების მიერ დაკავებული არასაცხოვრებელი, საწარმოო ფართის 1 კვ.მ-ს ფასს, არანაკლებ:

ა. 30 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხისა ეროვნულ ვალუტაში – ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში განთავსებული ობიექტებისათვის;

ბ. 20 აშშ დოლარის ექვივალენტური თანხისა ეროვნულ ვალუტაში – დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში განთავსებული ობიექტებისათვის".

ამასთან, ცალკეულ შემთხვევაში მიზანშეწონილად ჩაითვალა უფრო მაღალი კოეფიციენტების გამოყენება საპრივატიზაციო ობიექტების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

## მიღებულია გადაწყვეტილება ანგარიშსწორების წესის შესახებ

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის მორიგი სხდომა, რომელმაც მთელ რიგ სხვა პრობლემებთან ერთად განიხილა საკითხი "სახელმწიფო ქონების კონკურსით და აუქციონის წესით პრივატიზებისას საპრივატიზებო ბარათების მოქმედების პერიოდში ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ".

აღნიშნული საკითხის გამო კოლეგიამ მიიღო დადგენილება. მასში ნათქვამია: "სახელმწიფო ქონების კონკურსის წესით პრივატიზების დროს გამარჯვებულმა გადაწყვეტილების მიღებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს ეროვნულ ვალუტაში ობიექტის საბოლოო ფასის არანაკლებ 50 და არაუმეტეს 65 პროცენტი. ხოლო ობიექტის საფასურის დარჩენილი ნაწილი უნდა დაფაროს მხოლოდ საპრივატიზებო ბარათებით. რესპუბლიკაში საპრივატიზებო ბარათების მოქმედების პერიოდში, "სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების კონკურსით გაყიდვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის №42 დადგენილებით დაწესებულ ვადებში". დადგენილებაში შემდეგ ხაზგასმულია, რომ "სახელმწიფო ქონების აუქციონის წესით პრივატიზების დროს გამარჯვებულმა აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერის მომენტიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს ეროვნულ ვალუტაში ობიექტის საბოლოო ფასის არანაკლებ 50% და არაუმეტეს 65 პროცენტი. ხოლო ობიექტის საფასურის დარჩენილი ნაწილი უნდა დაფაროს მხოლოდ საპრივატიზებო ბარათებით, რესპუბლიკაში საპრივატიზებო ბარათების მოქმედების პერიოდში, "სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 29 მაისის №612 დადგენილებით დაწესებულ ვადებში". მითითებულია აგრეთვე, რომ აღნიშნული გადახდის წესი არ ვრცელდება "მცირე სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 9 თებერვლის №67 დადგენილების საფუძველზე ჩატარებულ მეორად აუქციონზე შეძენილ ქონებაზე.

კოლეგიამ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს იურიდიულ განყოფილებას (ც. მაზმიშვილი) დაავალა აღნიშნული დადგენილება 10 დღის ვადაში გაატაროს რეგისტრაციაში საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში არსებული წესით.

საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებას (მ. გაბუნია) დაევალა დადგენილების რეგისტრაციის შემდეგ გაზეთ "პრივატიზების მაცნეში" მისი გამოქვეყნება; საერთო განყოფილებამ (ლ. ბოლქვაძე) უნდა უზრუნველყოს ამ დადგენილების რეგისტრაციის შემდეგ სამინისტროს ტერიტორიული ოგანოებისათვის მისი დაგზავნა.

დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალა მინისტრის მოადგილეს ბატონ გ. დიდბარიძეს.

უწყინარი შენიშვნა საწყენ თემაზე

## მაინც რა ღირს სამარშრუტო ტაქსი?

ეს კითხვა ამ ბოლო დროს იმდენჯერ დაისვა და მასზე იმდენი ითქვა, რომ პრობლემა თითქოს გაცვდა და თავისთავად უნდა გადაწყვეტილიყო.

რაც მთავარია, იყო არგუმენტირებული დასკვნები, განსაზღვრული ტარიფები. არც მუქარა გამორიცხულა – ვინც არ დაემორჩილება ლიცენზიით გათვალისწინებულ წესებს, ჩამოერთმევათ ლიცენზია, მარშრუტზე გასვლის უფლება და ა. შ.

საკითხი თითქოს ნათელი იყო, მდგომარეობაც სწრაფად მოწესრიგდა. ამაში ლარის სიმყარემაც დიდი წვლილი შეიტანა; ცხადია, მაკონტროლებელი ორგანოების პრინციპულობამაც დიდად შეუწყო ხელი დარღვევების აღმოფხვრას, მაგრამ... როგორც ჩანს, ყველაფერი ეს მოხდა ცენტრალურ ტრასებზე, ქალაქის განაპირა უბნებში კი პრობლემა გარკვეულწილად კვლავ მოწესრიგებას მოითხოვს. მეტროს სადგურ "სარაჯიშვილიდან", "ისნიდან" და სხვა ნაკლებად თვალში საცემი პუნქტებიდან მიმავალი მანქანების მფლობელები დიდად არ დაგიდევენ საერთო წესებს და ძალიან მოკლე მანძილებზე ითხოვენ 30-35 თეთრს, არც ფასის მაჩვენებლის გამოკვრისათვის იწუხებენ თავს. ანალოგიური სიტუაცია შეიმჩნევა განაპირა უბნებში მოძრავ ავტობუსებზე.

რასაკვირველია, ერთი ხელის დაკვრით ყველა პრობლემა ვერ მოგვარდება, მაგრამ თანდათან აღნიშნულის გამოსწორება ძნელი არ უნდა იყოს. მთავარია ის, რომ შესაბამისმა ორგანოებმა თავი ნაადრევად არ დაიმშვიდონ და ყურადღება არ მოადუნონ.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია

## თქვენ რას აკეთებთ?

ეს კითხვა ხშირად გვესმის გაზეთ "პრივატიზების მაცნეს" თანამშრომლებს. საქმე ის არის, რომ ტელეეკრანიდან კოლეგები რამდენჯერმე გვახსენებენ, რომ აუქციონით გაყიდვაზე გამოტანილი ობიექტების ნუსხა და აუქციონების შედეგები იბეჭდება გაზეთ "კავკასიონში". ისინი, ვინც ვითარებაში გარკვეულნი ვართ, ვიცით რაც ხდება. მაინც რა? განსაკუთრებული არაფერი. "პრივატიზების მაცნე" გამოდის ორ კვირაში ერთხელ. ამიტომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დიდ, რაც მთავარია, უანგარო დახმარებას უწევს ყოველდღიური გაზეთი "კავკასიონი". ის ყოველთვის უსასყიდლოდ აქვეყნებს ოპერატიულ მასალებს, რისთვისაც იგი მხოლოდ გულწრფელ მადლობას იმსახურებს.

"პრივატიზების მაცნე" აუქციონზე გასატანი ობიექტების ნუსხასაც აქვეყნებს (სხვებზე ადრე) და აუქციონის შედეგებსაც (სხვებზე ადრე) აწვდის მკითხველს. ამიტომ, ვფიქრობთ, მთლად მართებული არ უნდა იყოს ამ გაზეთის ასეთი ხელაღებით მივიწყება და უგულვებელყოფა.

ჩვენ არაფერი გვწყინს, ღვთის მადლით საკუთარი მკითხველი გვყავს და განსაკუთრებით მრავალრიცხოვან აუდიტორიაზე პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ ეს პატარა მეგობრული შენიშვნა არც ჩვენმა კოლეგებმა უნდა იწყინონ და, თუ სამართალია, გაზეთ "პრივატიზების მაცნეს" ხაზი არ უნდა გადაუსვან, მისი არსებობა ტელემაყურებელს არ უნდა დაუმალონ.

რაც შეეხება კითხვას, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ, ამაზე პასუხის გაცემას ვცდილობთ გაზეთის საშუალებით – პროპაგანდას ვუწევთ რესპუბლიკაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესს - სახელმწიფო ქონების პრივატიზებას, უკვე პრივატიზებული ობიექტების საქმიანობას, ამ მიმართულებით ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას და ა. შ.

რამდენად მაღალ დონეზე ვახერხებთ ამას, ეს უკვე ცალკე მსჯელობის საგანია, მაგრამ არც იმდენად უსუსურად, რომ საგაზეთო ამქრიდან გამოგვრიცხონ.

## ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე (მუნიციპალიტეტზე) გადასაცემ საწარმოთა ნუსხა

**დამტკიცებულია 1995 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის № 637 დადგენილებით**

ასპინძის საწარმოო კომბინატი
აბაშის საწარმოო კომბინატი
ადიგენის საწარმოო კომბინატი
ახალგორის საწარმოო კომბინატი
ამბროლაურის საწარმოო კომბინატი
დუშეთის საწარმოო კომბინატი
დმანისის საწარმოო კომბინატი
ვანის საწარმოო კომბინატი
ზესტაფონის საწარმოო კომბინატი
ლენტეხის საწარმოო კომბინატი
თეთრი წყაროს საწარმოო კომბინატი
ლანჩხუთის საშენ მასალათა კომბინატი
მესტიის საწარმოო კომბინატი
მარტვილის საწარმოო კომბინატი
სიღნაღის საწარმოო კომბინატი
ხობის საწარმოო კომბინატი
ცაგერის საწარმოო კომბინატი
ჩოხატაურის საწარმოო კომბინატი
წყალტუბოს საწარმოო კომბინატი
წალენჯიხის საწარმოო კომბინატი
წალკის საწარმოო კომბინატი
ყვარლის კომერციული საწარმო "დურუჯი"
ზუგდიდის სამკერვალო ფაბრიკა
ალპანის სამკერვალო ფაბრიკა "იმედი"
ონის სამკერვალო ფაბრიკა
ნინოწმინდის სამკერვალო ფაბრიკა
თეთრი წყაროს საცდელ-ექსპერიმენტული ქარხანა
ჯვარის სპეციალიზებული საცდელი ქარხანა
ზუგდიდის ლითონკონსტრუქციების ქარხანა
მარტვილის ანალიზური ხელსაწყოების ქ-ნა
ჯვარის ანალიზური ხელსაწყოების ქარხანა
ქუთაისის საშენ მასალათა კომბინატი
ოზურგეთის საბურავების შემკეთებელი ქ-ნა
წყალტუბოს ქიმიური ქარხანა
წყალტუბოს ხარისხოვანი მინის ქარხანა
თელავის ქიმიური ქარხანა
ყაზბეგის სახელობის კომერციული საწარმო "დარიალი"
ხარაგაულის საწარმოო კომბინატი
ქარელის საწარმოო კომბინატი
ჩხოროწყუს საწარმოო კომბინატი
თბილისის ქარხანა "საქმონტაჟი"
თბილისის სამშენებლო-სარემონტო უბანი
ქუთაისის ბამბის საჩეჩი საწარმო
გორის ხარისხოვანი მინის ქარხანა
გურჯაანის სგ "ალაზანი"
თბილისის საცდელ მექანიკური ქარხანა
თბილისის დამხმარე საწარმოთა კომბინატი

## №20 აუქციონი

**განაცხადები მიიღება 1995 წ. 15 ნოემბრიდან 28 ნოემბრის 17 საათამდე.**
**1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარს.**
**აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.**

| № | აუქ | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| XX | 19. | "ივერია" (ქუთ. ავეჯის საწ. გ-ბა) | 233225 | 67000 | 28.73 | 97953.22 | 480-019 | ქუთაისი, მშენებლის 2. ტ. 62093 | მ. მამისეიშვილი | 7.4 |
| XX | 22. | "გელათი"(ქუთ. სამკერვ. გ-ბა) | 180013 | 62300 | 34.61 | 91081.87 | 480-022 | ქუთაისი, გაპონოვის 11, ტ. 54230 | ნ. ჭყოიძე | 1.79 |
| XX | 42. | "იმედი" (მშენებელ. სამინ. №1 ასს) | 70771 | 27000 | 38.15 | 39473.68 | 237-042 | ვამლიჯვარი, სარაჯიშვილის 21, ტ. 958550 | მ. ახალკაციშვილი | 4.2 |
| XX | 74. | "ლამპარი" (თბ. №4 მექანიკური ქ-ნა) | 35500 | 12500 | 35.21 | 18274.85 | 238-074 | წულუკიძის 6 ტ. 780570 | ო. ამირანაშვილი | |
| XX | 82. | "ეტლი" (ვანის ავტოსატრანსპ. საწარმო) | 29666 | 8784 | 29.61 | 12842.11 | 200-082 | ვანი, თავისუფლების 56, ტ. 21260 | გ. გეგიძე | 1.6 |
| XX | 90. | "სურინჯი" (თბ.მერ.საბინ. მეურნ. სამშ-ს კ-ტი) | 53829 | 23000 | 42.73 | 33625.73 | 233-090 | მატროსოვის 15 | | |
| XX | 91. | "საკალცია" (საქსერსატბითუმეაჯრ.სპ. ბაზა) | 109281 | 38500 | 35.23 | 56286.55 | 233-091 | სამგორის ჩიხი 4, ტ. 713567 | ლ. დვალიძე | 1.5 |
| XX | 107. | "ბაზალტი" (მარნეულის სამშ.მას კ-ტი) | 387177 | 184000 | 47.52 | 269005.8 | 320-107 | მარნეული, ს. კიბილაგლო, ტ. 21283 | ვ. ტაბატაძე | 162.29 |
| XX | 162. | "ქუთაისის ხის დამამუშავებელი კ-ტი" | 100272 | 35100 | 35 | 51315.79 | 480-162 | ქუთაისი, გამარჯვების გამზ. 7, ტ. 66880 | მ. გოგებაშვილი | 4.4 |
| XX | 192. | "ლეგა" (დედოფლისწყარ. მეფრინველ. ფ-კა) | 621156 | 298000 | 47.98 | 435672.5 | 170-192 | დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქ. | ა. ჯანაშვილი | 80 |
| XX | 195. | "ახალციხის ნავთობპროდუქტი" | 60427 | 22000 | 36.41 | 32163.74 | 080-195 | ახალციხე, ტაბიძის 25, ტ. 21248 | ო. ჯაყელი | |
| XX | 209. | "ელექტროტექნიკური ქარხანა" (თბ.ელ. ტ. ქ.) | 304607 | 117000 | 38.41 | 171052.6 | 231-209 | ცემის 3 | ნ. ლოსაბერიძე | 2.5 |
| XX | 220. | "ჩელა" (ზუგდიდის სამრ.კომერც.ფ-მა) | 17765 | 4800 | 27.02 | 7017.544 | 220-220 | ზუგდიდი, კ. გამსახურდიას 25 | გ. მაქაცარია | 18.1 |
| XX | 247. | "გამა" (თელავის წინდების საქს. ფ-კა) | 64331 | 12591 | 19.57 | 18407.89 | 250-247 | თელავი, ალაზნის გამზ. 2, ტ. 31286 | ზ. მოდებაძე | 1.69 |
| XX | 253. | "ჭადარი" (თელავის სამკერვალო ფ-კა) | 129640 | 45500 | 35.1 | 66520.47 | 250-253 | თელავი, ჭავჭავაძის გამზ. 100, ტ. 31626 | თ. ლიქოკელი | 1.5 |
| XX | 256. | "საქლითონი" (რგ. "საქლითონი") | 401543 | 142000 | 35.36 | 207602.3 | 238-256 | ქიზიყის 12 | რ. ჯანგირაშვილი | 21 |
| XX | 267. | "ქუთავტოსერვისი" (ქუთ. №1 სატვ. ასს) | 50154 | 21000 | 41.87 | 30701.75 | 480-267 | ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა. ტ. 63428 | ტ. ჭელიძე | 3 |
| XX | 272. | "ავტომობილი" (ზესტაფ. სატვ. ა\სატრ.საწ.) | 54147 | 17474 | 32.27 | 25546.78 | 210-272 | ზესტაფონი, სტაეროსელსკის ქ.ტ. 53269 | ჯ. კუპატაძე | 2 |
| XX | 292. | "გურჯაანის ნავთობპროდუქტი" (გ.კ.შ.ს.) | 14085 | 5000 | 35.5 | 7309.942 | 160-292 | გურჯაანი, არაგვისპირელის 27, ტ. 23276 | კ. კაპანაძე | 1.7 |
| XX | 297. | "მარმარილო" (მარნ.სადახლ. მარმარ. კ-ტი) | 144128 | 65000 | 45.1 | 95029.24 | 320-297 | მარნეულის რ-ნი, სადახლო | ჯ. მოსიძე | 18 |
| XX | 305. | "სამშენებლო ტრესტი №3" (გორი) | 224849 | 79000 | 35.13 | 115497.1 | 150-305 | გორი, შინდისის გზატ. 4, ტ. 24007 | ვ. ყანჩაველი | 10.9 |
| XX | 385. | "სატვირთო ავტოტრანსპორტი" (სამტრ.) | 19522 | 2700 | 13.83 | 3947.368 | 410-385 | სამტრედია, წერეთლის 117 | ა. ნინუა | 2 |
| XX | 444. | "სასტუმრო ვაკე" | 419036 | 204000 | 48.68 | 298245.6 | 232-444 | ჭავჭავაძის გამზ. 80. ტ. 226115 | ო. ბერაძე | 3.59 |
| XX | 587. | "ტრანსკვებსერვისი "ალავერდი" (კრინ. მგზ. მომს.) | 205296 | 72000 | 35.07 | 105263.2 | 231-587 | თამარ მეფის 14 | ვ. სინაურიძე | |
| | | სულ: | 3930420 | 1566249 | | 2289838 | | | | 349.16 |

## №21 აუქციონი

**განაცხადები მიიღება 1995 წ. 22 ნოემბრიდან 5 დეკემბრის 17 საათამდე.**
**1 აქციის ნომინალური ღირებულება=1,46 აშშ დოლარს.**
**აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 45 აქცია.**

| № | აუქ | სააქციო საზოგადოების დასახელება (სახელწოდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალთან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავ. მიწის ფართობი-ჰა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | XXI | 318. "მესხეთი" (ახალციხის ფირმა) | 244875 | 86000 | 35.12 | 125731 | 080-318 | ახალციხე, თამარაშვილის 6, ტ. 20398 | ნ. პარუნაშვილი | 15 |
| 2. | XXI | 327"ელექტროთერმომჭედულება" (სამეცნ. საწ. კ.) | 258854 | 124000 | 47.9 | 181286.5 | 234-327 | რუსთავის გზატ. 50, ტ. 711117 | რ. სულაძე | 3.5 |
| 3. | XXI | 350."საქელექტრომანქანა" (საწ. გაწრთ.) | 710730 | 257000 | 36.16 | 375731 | 233-350 | ქაქუცა ჩოლოყაშვილის III შეს. 4 | გ. ბუგიანიშვილი | 3.3 |
| 4. | XXI | 372. "ავტოსატრანსპორტო საწარმო №10" | 144461 | 68000 | 47.07 | 99415.2 | 236-372 | თემქის დასახლ.№8 პურის ქარხანასთან | ნ. ნიაური | |
| 5. | XXI | 375. "ქუთაისის საწარმ. საკომპლექტაციო ბაზა" | 81360 | 39000 | 47.94 | 57017.54 | 480-375 | ქუთაისი, შევჩენკოს 21 | თ. ყენია | 34.2 |
| 6. | XXI | 377. "საქობო" (სიღნაღი, წნორის მექანიკ. ქ-ნა) | 39579 | 17000 | 42.95 | 24853.8 | 440-377 | სიღნაღი, სოფ. საქობო, ბესიკის 10 | მ. სესიტაშვილი | 0.74 |
| 7. | XXI | 381. "ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხანა" | 173805 | 63000 | 36.25 | 92105.26 | 370-381 | ოზურგეთი, ექვთ. თაყაიშვილის 20. ტ. 64627 | რ. მახარაძე | 3.5 |
| 8. | XXI | 395. "ქუთაისი" (ქუთ. სახ. სამრ. საწ.) | 77702 | 26972 | 34.71 | 39432.75 | 480-395 | ქუთაისი, ლ.ასათიანის VII ჩიხი №7 | ვ. კოლუაშვილი | |
| 9. | XXI | 408 "წაღა" (რგ. "საქფეხსაცმელვაჭრობა" | 101998 | 49000 | 48.04 | 71637.43 | 234-408 | ფონიჭალას დასახლ. | შ. კირვალიძე | |
| 10. | XXI | 420. "ფეიქარი" (სამტრედ. ბამბ. სართავი ფ-კა) | 189061 | 81000 | 42.84 | 118421.1 | 410-420 | სამტრედია, კოპალეიშვილის 21 | ი. ჩიჩუა | |
| 11. | XXI | 421. "თბილ. სამეინკლო-სამონტაჟ ინსტრ. ქ-ნა". | 237300 | 107000 | 45.09 | 156432.7 | 230-421 | ხანძთელის 2, ფილ. რატინის 6 | ტ. კილაძე | 2.5 |
| 12. | XXI | 422. "თოლია" (საწარმოო გ-ბა "თოლია") | 306580 | 145000 | 47.3 | 211988.3 | 233-422 | ჯავახეთის 64 | ბ. ჯიბლაძე | 0.43 |
| 13. | XXI | 456. "დუღაბი-94" (№2 სახლთმშ. ქ-ნა) | 350165 | 135000 | 38.55 | 197368.4 | 238-456 | კაიროს 42 | ზ. ჭუმბურიძე | 1.3 |
| 14. | XXI | 462. "ფოთითევზი" (საქთევზ.) | 3257623 | 1295000 | 39.75 | 1893275 | 460-462 | ფოთი, აღმაშენებლის 57 | თ. გვაზავა | 3.84 |
| 15. | XXI | 473. "რიონი" (სოფმშ. სამტრედ. №2 სამშ. ტრ) | 403594 | 142000 | 35.18 | 207602.3 | 410-473 | სამტრედია, მანჯგალაძის 2 | ა. ნაცვლიშვილი | 2 |
| 16. | XXI | 518 "ანდეზიტი" ("სამთ.ქიმ". ბაკურიან. ანდეზ. წ.) | 440122 | 173000 | 39.31 | 252924 | 130-518 | ბორჯომი, ანდეზიტის დასახლ. | მ. ლომიძე | |
| 17. | XXI | 561. "ნავთობპრ. მოძრ. ავტოგასამ. სადგ. "მაგსი" | 115797 | 43000 | 37.13 | 62865.5 | 238-561 | ჭირნახულის 52, ტ. 415666 | გ. ხარშილაძე | |
| 18. | XXI | 563. "საქტვირაბსპეცმშენი" (თელავ. სპ. სამშ. სამ. ს.) | 50832 | 21000 | 41.31 | 30701.75 | 250-563 | თელავი, ალაზნის გამზ. 46 | ა. ერგემლიძე | 1.3 |
| 19. | XXI | 566. "თემქ. (თელავის ექსპერიმენტ. მექანიკ. ქ-ნა) | 110319 | 53000 | 48.04 | 77485.38 | 250-566 | თელავი, ჩოლოყაშვილის 6 | ლ. თანდილაშვილი | 4.3 |
| 20. | XXI | 573. "იმერი" (სამტრედ. სარემ. მექან. ქარხანა) | 199123 | 97000 | 48.71 | 141812.9 | 410-573 | სამტრედია, კიკვიძის 74, ტ. 23931 | გ. ბუაძე | 2 |
| 21. | XXI | 592. "რკინა-ბეტონი" (რუსთ. რკ. ბეტ. №1 ქ-ნა) | 340538 | 132000 | 38.76 | 192982.5 | 390-592 | რუსთავი, მარის დასახლ. ტ. 192744 | ფ. მჭედლიძე | 7.2 |
| 22. | XXI | 594. "ჭიათურის მექანიზაციის სამმართველო" | 56333 | 25000 | 44.38 | 36549.71 | 580-594 | ჭიათურა, ყაზბეგის 4 | თ. სამხარაძე | |
| 23. | XXI | 603 "ფერსათი" ("ბაღდათ. ღვინ. წარმ. სახ.სკფ.) | 67071 | 29000 | 43.24 | 42397.66 | 110-603 | ბაღდათი, სოფ. დიმი | ი. ჯავახია | 1.08 |
| 24. | XXI | 690. "ენერგომშენ.კონსტრუქცია" (სსტ. "საქჰიდრ.ენმშ."თბ) | 131474 | 47000 | 35.75 | 68713.45 | 238-690 | ქინძმარაულის 37 | ზ. ჯანაშია | 12 |
| 25. | XXI | 694. "არაგვი" (ფასანაურ. ტურისტ. სასტუმრო) | 110792 | 53000 | 47.84 | 77485.38 | 190-694 | დუშეთი, დაბა ფასანაური, | გ. მიყორაშვილი | 3 |
| 26. | XXI | 695. "განახლებული მექანიზაცია" (წყალმშ. მექანიზ. სპსა.) | 128566 | 48000 | 37.33 | 70175.44 | 250-695 | თელავი, აჩინებული, ტ. 3455 | ა. მაისურაძე | 2.11 |
| 27. | XXI | 699. "აღმაელობა" (გარდაბნის ავტოქექმომს.) | 103156 | 49000 | 47.5 | 71637.43 | 140-699 | გარდაბანი, თბილისი-რუსთავგზატკ. მე-16 კმ. | თ. კვიციანი | 1.8 |
| 28. | XXI | 705. "საქ-ლადა" (ს\ს "მთაწმინდა") | 1183862 | 580000 | 48.99 | 847953.2 | 238-705 | ორხევი 103 | ვ. კობერიძე | 2.52 |
| 29. | XX | 712. "ახალციხ. მანქ. ტრაქტ. პარკ. რემონტ. და ექსპლ. საწ." | 61824 | 29000 | 46.91 | 42397.66 | 080-712 | ახალციხე, ახალქალაქის გზატკ. | ზ. ხუციშვილი | 4 |
| 30. | XX | 713. "შემონტაჟე" (სახ. ფ-მა "სოფსპეცმონტაჟი" | 89048 | 30000 | 33.69 | 43859.65 | 410-713 | სამტრედია, ელიავას 21, ტ.24303 | გ. შენგელია | |
| 31. | XXI | 734. "ყვარელი" (ავტო-მომსახურ.) | 36125 | 11000 | 30.45 | 16081.87 | 500-734 | ყვარელი, ჭავჭავაძის 72, ტ. 20915 | ლ. შავბალახაშვილი | 1.1 |
| | | სულ: | 9802669 | 4054972 | | 5928322 | | | | 7.62 |

# მიმდინარეობს სახელმწიფო ქონების პრივატიზება

## გაიმარჯვა კომერციულმა ფირმამ

1995 წლის 15 სექტემბერს გაზეთ "პრივატიზების მაცნე"-ში (№13) გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება თბილისის საშენ მასალათა კომბინატის (ამჟამად ს/ს "დელისი") სასადილოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ.

კონკურსი გაიმართა მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს და მასში გაიმარჯვა კომერციულმა ფირმა "ლიკამ", რომელსაც აღნიშნული სასადილო გადაეცა იჯარით გამოსყიდვის უფლებით.

## შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით

1995 წლის 1 აგვისტოს გაზეთ "პრივატიზების მაცნეში" გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტის სსკ "საქმონტაჟსპეცმშენის" სამმართველო "საქმონტაჟავტომატიკის" იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ. ვინაიდან სამმართველოს შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიტანა განცხადება სამმართველოს იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული სამმართველო კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა სამმართველო "საქმონტაჟავტომატიკის" შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

## სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს დიდების დამხმარე სასოფლო-სამეურნეო საწარმოს სოფელ ბეთანიაში მდებარე საძროხე შენობა კომერციული კონკურსის წესით იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა სამეცნიერო საწარმოო ასოციაცია „ამარანდას"

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ გაზეთ "პრივატიზების მაცნეს" 1995 წლის 1 აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა საკონკურსო განცხადება დიდების დამხმარე სასოფლო სამეურნეო საწარმოს სოფელ ბეთანიაში მდებარე საძროხე შენობის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ.

მიმდინარე წლის 1 სექტემბერს ჩატარდა კომერციული კონკურსი და მასში გაიმარჯვა სამეცნიერო საწარმოო ასოციაცია "ამარანდამ", რომელსაც გადაეცა აღნიშნული საძროხე შენობა იჯარით გამოსყიდვის უფლებით.

## სარემონტო უბანი შრომითმა კოლექტივმა გამოისყიდა

1995 წლის 15 სექტემბერს გაზეთ "პრივატიზების მაცნეში" (№13) გამოქვეყნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საკონკურსო განცხადება კომუნალური მეურნეობის მთავარი სამმართველოს ფირმა "საქკომუნრემმშენის" ასპინძის სარემონტო უბნის იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ.

ვინაიდან ასპინძის სარემონტო უბნის შრომითმა კოლექტივმა ისარგებლა მინიჭებული უპირატესობით, შექმნა დროებითი ამხანაგობა და ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში სამინისტროში შემოიტანა განცხადება უბნის იჯარით გამოსყიდვის უფლებით აღების თაობაზე, აღნიშნული უბანი კონკურსის გარეშე იჯარით გამოსყიდვის უფლებით გადაეცა ასპინძის სარემონტო უბნის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას.

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

---

# როგორი არჩევანი გავაკეთოთ

**დახმარება**

**საწარმოთა უპირატესობა პრივატიზების შემდგომ პერიოდში ასეთი პრობლემის წინაშე შეიძლება დადგეს:**

**საწარმოთა უპირატესობას არ გააჩნია სათანადო ფონდები და საშუალებები**

- სათადარიგო ნაწილების და ახალი დანადგარების შესაძენად
- გამოცდილი სპეციალისტების მოსაზიდად
- ნედლეულის ან მომსახურების მისაღებად
- ტექნოლოგიების დასანერგად

**გარე ინვესტორი, ქართველი ან უცხოელი, შეძლებს დაეხმაროს საწარმოს**

რესურსებით:
- ფული
- გამოცდილება
- კონტაქტები

↓

**საწარმოს ფუნქციონირების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში**

# საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული დ. ურეკში მდებარე დასასვენებელი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის "ნექტარის" იჯარით გამოსყიდვის უფლებით გაცემის შესახებ.**

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმ არასახელმწიფო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქველმოქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს, აგრეთვე საწარმოს მუშაკებს, რომლებიც ამ მიზნით ქმნიან ამხანაგობას.

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტის შესახებ:**

მეიჯარე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

ბანკის მისამართი: დ. ურეკი, სანაპიროს ქ.

მიწის ნაკვეთის ფართობი: 14105 კვ. მ.

საიჯარო ქირის საწყისი ოდენობა წელიწადში 580 აშშ დოლარი.

**საკონკურსო პირობები:**

– ობიექტის პროფილის შენარჩუნება და მისი გაფართოება;

– ობიექტის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება 1 წლის ვადაში;

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელთა შეღავათიანი მომსახურება (10%-ის ფასდაკლებით).

– ვადაზე ადრე გამოსყიდვის 1 წლით შეზღუდვა.

კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე, რომლის წინადადებებიც აკმაყოფილებენ საკონკურსო პირობებს და იღებს ვალდებულებას საიჯარო ქირის საწყის ოდენობაზე მეტი და მონაწილეთა შორის მაქსიმალური თანხის გადახდაზე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

1. წესდება;

2. მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერი;

3. ცნობა მომსახურე ბანკიდან გადახდისუნარიანობის შესახებ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირებმა საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება, რომელშიც უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: ფიზიკური პირის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საპასპორტო მონაცემები.

განმცხადებლებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. "ბე"-ს სიდიდე არ უნდა იყოს რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები.

თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე კომერციული ბანკი "საქართველოს ბანკი" ა\ა №001141776, მფო 521017.

განცხადება თავსდება სპეციალურ კონვერტში და ილუქება განმცხადებლის მიერ ან მისი თანდასწრებით.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილის სტატუსს იძენს საიჯარო განცხადებების განმხილველი კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განცხადების რეგისტრირებისა და ხელმოწერის დადასტურების შემდეგ.

განცხადებების მიღება მთავრდება კონკურსის ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

საკონკურსო კომისიის სხდომა გაიმართება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.

სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, სადაც მოხდება ცალკეული განცხადების განხილვა განმცხადებელს ეცნობება განცხადების წარმოდგენისას.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში დასასვენებელი ბანაკი "ნექტარის" მუშაკთა მიერ შექმნილი ამხანაგობა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საიჯარო განცხადებების განმხილველ კომისიას წარუდგენს განაცხადს ბანაკის იჯარით – ქონების გამოსყიდვის უფლებით აღების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 20.09. 94 წლის № 555-Iს დადგენილებით დამტკიცებული დებულების "სახელმწიფო ქონების იჯარის გაცემის წესის შესახებ" 8. 17. პუნქტის თანახმად, კონკურსი აღარ გაიმართება და ობიექტი იჯარით – ქონების გამოსყიდვის უფლებით პირდაპირ გადაეცემა ამ ამხანაგობას. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კომისიისათვის წარდგენილი განაცხადით დასასვენებელი ბანაკის "ნექტარის" მუშაკები სარგებლობენ კონკურსის სხვა მონაწილეთა თანაბარი უფლებებით თუ მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს სხვა მონაწილეთაგან შემოთავაზებულ თანაბარ პირობებს, უპირატესობა ენიჭებათ დასასვენებელი ბანაკის "ნექტარის" მუშაკებს.

განაცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე (დასვენების დღეების გარდა) 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი № 307.

**ცნობებისათვის დარეკეთ:**
**29-27-94. 29-00-06.**
**საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო**

# "ბუღალტერია და ბიზნესი" – კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები

საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფილად წარმოების, საგადასახადო სისტემის სიახლეთა შესწავლის მიზნით ორგანიზებულია საბუღალტრო აღრიცხვისა და საგადასახადო სისტემის შემსწავლელი მუდმივმოქმედი დასწრებული და დაუსწრებელი (კვალიფიკაციის ასამაღლებელი) კურსები.

სწავლების ხანგრძლივობა – 1-2 თვე (დასწრებული) და 3 თვე (დაუსწრებელი).

კურსებზე ლექციებს მაღალკვალიფიციური მეცნიერ-სპეციალისტები წაიკითხავენ აქტუალურ საკითხებზე.

კერძოდ:

– პირველადი აღრიცხვის მოწესრიგება და მათი ტიპიურ მაგროვებელ უწყისებზე დაყვანა;

– ბრუნვათა უწყისის ახლებურად წარმოება და მის საფუძველზე მთავარი წიგნის (დავთრის) შევსება – სინთეზური და ანალიზური ანგარიშგების მიხედვით;

– ბალანსისა და ანგარიშგების სხვა ფორმების შედგენა;

– ჩატარდება აგრეთვე სემინარები და კონსულტაციები წარმოების ინტერესებიდან გამომდინარე.

საშუალება გეძლევათ, სწრაფად დაეუფლოთ ბუღალტრული აღრიცხვისა და საგადასახადო სისტემის მთელ რიგ სიახლეებს.

გარდა ამისა მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან შექმნილია საინიციატივო ჯგუფი, რომლებიც საწარმოებსა და ორგანიზაციებს ადგილზე დაეხმარება:

– საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციაში, ბალანსისა და ანგარიშგების სხვა ფორმების შედგენა-მოწესრიგებაში;

– აღრიცხვა-ანგარიშგების სხვადასხვა აქტუალური საკითხების მოგვარებაში;

– საპრივატიზაციო საწარმოებში საწყისი საწესდებო კაპიტალის დადგენაში;

– ქონების პრივატიზირებისათვის და საწარმოს აქციონიზაციისათვის ყველა საჭირო დოკუმენტის პაკეტის სრულყოფილად დამუშავებასა და შევსებაში.

სამუშაოები (პრივატიზაციიდან დაწყებული – ჰოლდინგური კომპანიისა და სხვა გაერთიანებათა ჩათვლით) ჩატარდება მაღალ დონეზე.

გახსოვდეთ: სწორად ორგანიზებული ბუღალტრული აღრიცხვა თქვენი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის წარმატების გარანტიაა.

მეცადინეობა დაიწყება ჯგუფის დაკომპლექტებისთანავე.

სწავლა ფასიანია. ფასი კი ხელმისაწვდომი.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 96-91-28 ან 96-06-93. ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა. დილის 10 საათიდან 17 საათამდე.

**მისამართი:** ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №76 (რესპუბლიკის საავთიაქო სამმართველოს შენობა. შესასვლელი დგებუაძის ქ. №1). II სართული.

# როგორი არჩევანი გავაკეთოთ

**ექნებათ თუ არა საწარმოს თანამშრომლებს რესურსები, რომ გადაარჩინონ საწარმო პრივატიზების შემდგომ პერიოდში სხვისი დახმარების გარეშე?**

→ დიახ → **შეარჩიეთ ნებისმიერი ვარიანტი**

**იციან თუ არა საწარმოს თანამშრომლებმა ისეთი ინვესტორის შესახებ, რომელსაც სურვილი აქვს იყიდოს საწარმოს აქციები?**

→ დიახ → **შეუთანხმდით ინვესტორს რომელიმე არჩევანზე**

↓ არა

**თანამშრომლებმა ნებისმიერი ვარიანტი უნდა შეარჩიონ, მაგრამ მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ დათმონ საკონტროლო უფლებები (აქციების წილის გაყიდვით ან ს\ს-ს საწესდებო კაპიტალის გაზრდით, რაც ახალი აქციების გამოშვებას გულისხმობს იმ ინვესტორისათვის, რომელიც ეხმარება ს\ს-ს გადარჩენაში)**

**საწარმოების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევით დაინტერესებულ პირებს დაეხმარებიან მაღალი კვალიფიკაციის კონსულტანტები.**
**შეგიძლიათ დარეკოთ:**
**99-93-07 (დღისით)**
**37-30-04 (საღამოს).**

# მხოლოდ ციფრები

## № 11 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

| აქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი | სააქციო საზოგადოების დასახელება | გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი) | განაცხადების რაოდენობა (ცალი) | | | ვაუჩერების რაოდენობა (ცალი) | | | გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი) | აუქციონის კურსი | დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი) | გაყიდული აქციების პროცენტი | ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | | | | | |
| 021 | "ჩითახევი-ბორჯომი" | 126000 | 25 | 1 | 26 | 14948 | 1 | 14949 | 119584 | 8 | 6416 | 94.91 | 11.68 |
| 045 | "უნივერსალი" | 73000 | 1 | 0 | 1 | 1622 | 0 | 1622 | 72990 | 45 | 10 | 99.99 | 65.70 |
| 060 | "თამბაქოს საფერ. ქ-ნა "ჰერეთი" | 66000 | 4 | 1 | 5 | 2276 | 230 | 2506 | 65156 | 26 | 844 | 98.72 | 37.96 |
| 065 | "აგარის საკონსერვო ქ-ნა" | 262000 | 2 | 0 | 2 | 3 | 0 | 3 | 135 | 45 | 261865 | 0.05 | 65.70 |
| 070 | "ფეიქარი" | 39100 | 93 | 0 | 93 | 249 | 0 | 249 | 11205 | 45 | 27895 | 28.66 | 65.70 |
| 071 | "ამირანი" | 43000 | 2 | 0 | 2 | 6 | 0 | 6 | 270 | 45 | 42730 | 0.63 | 65.70 |
| 072 | "კოლხეთი" | 107000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 107000 | 0.00 | 0.00 |
| 073 | "იმერეთი" | 54000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 54000 | 0.00 | 0.00 |
| 103 | "საამო" | 67000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 67000 | 0.00 | 0.00 |
| 116 | "წინწყარო" | 33300 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 33300 | 0.00 | 0.00 |
| 117 | "მოწამეთა" | 38000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 38000 | 0.00 | 0.00 |
| 137 | "სამტრედიის ჩაის კ-ტი" | 141000 | 1 | 1 | 2 | 3134 | 3 | 3137 | 138028 | 44 | 2972 | 97.89 | 64.24 |
| 138 | "საფარი" | 66000 | 1 | 0 | 1 | 27 | 0 | 27 | 1215 | 45 | 64785 | 1.84 | 65.70 |
| 142 | "ტამი" | 692000 | 5 | 0 | 5 | 26 | 0 | 26 | 1170 | 45 | 690830 | 0.17 | 65.70 |
| 147 | "მშენებელი-21" | 33000 | 0 | 2 | 2 | 0 | 102 | 102 | 4590 | 45 | 28410 | 13.91 | 65.70 |
| 190 | "იმერეთი" | 1250000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1250000 | 0.00 | 0.00 |
| 205 | "სვირი" | 46000 | 6 | 0 | 6 | 1699 | 0 | 1699 | 45873 | 27 | 127 | 99.72 | 39.42 |
| 221 | "კედარი" | 15000 | 0 | 1 | 1 | 0 | 50 | 50 | 2250 | 45 | 12750 | 15.00 | 65.70 |
| 273 | "მექანიკოსი" | 4100 | 6 | 0 | 6 | 100 | 0 | 100 | 4100 | 41 | 0 | 100.0 | 59.86 |
| 276 | "იმერეთი" | 8500 | 2 | 0 | 2 | 196 | 0 | 196 | 8428 | 43 | 72 | 99.15 | 62.78 |
| 279 | "თაიგული" | 66000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 66000 | 0.00 | 0.00 |
| 329 | "არომატი" | 80000 | 9 | 0 | 9 | 1797 | 0 | 1797 | 79068 | 44 | 932 | 98.84 | 64.24 |
| 400 | "ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკა" | 171000 | 2 | 0 | 2 | 3802 | 0 | 3802 | 167288 | 44 | 3712 | 97.83 | 64.24 |
| 401 | "გემო" | 19000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 19000 | 0.00 | 0.00 |
| 415 | "ნარინჯი" | 3900 | 3 | 0 | 3 | 85 | 0 | 85 | 3825 | 45 | 75 | 98.08 | 65.70 |
| 434 | "ლილო" | 154000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 154000 | 0.00 | 0.00 |
| 451 | "იმედი" | 43000 | 2 | 1 | 3 | 7 | 3 | 10 | 450 | 45 | 42550 | 1.05 | 65.70 |
| 466 | "ტრანსპორტელი" | 25000 | 5 | 0 | 5 | 365 | 0 | 365 | 16425 | 45 | 8575 | 65.70 | 65.70 |
| 683 | "პლასტიკა" | 65000 | 5 | 0 | 5 | 2082 | 0 | 2082 | 64542 | 31 | 458 | 99.30 | 45.26 |
| 743 | "თბილქალაქმშენი" | 15000 | 4 | 0 | 4 | 332 | 0 | 332 | 14940 | 45 | 60 | 99.60 | 65.70 |
| · | სულ: | 3805900 | 178 | 7 | 185 | 32756 | 389 | 33145 | 821532 | | 2984368 | 21.59 | |

## №12 აუქციონის შედეგების მოკლე ანალიზი

| აქციათა გამოშვ. რიგითი ნომერი | სააქციო საზოგადოების დასახელება | გასაყიდი აქციების რაოდენობა (ცალი) | განაცხადების რაოდენობა (ცალი) | | | ვაუჩერების რაოდენობა (ცალი) | | | გაყიდული აქციების რაოდენობა (ცალი) | აუქციონის კურსი | დარჩენილი აქციების რაოდენობა (ცალი) | გაყიდული აქციების პროცენტი | ერთი ვაუჩერით შეძენილი აქციების ღირებულ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | 1 ტიპი | 2 ტიპი | სულ | | | | | |
| 028 | "სულორი" | 127000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 127000 | 0.00 | 0.00 |
| 189 | "ქიმპოლიმერი" | 70000 | 1 | 0 | 1 | 1556 | 0 | 1556 | 68464 | 44 | 1536 | 97.81 | 64.24 |
| 193 | "ტრანსპორტელი" | 10400 | 88 | 0 | 88 | 512 | 0 | 512 | 10240 | 20 | 160 | 98.46 | 29.20 |
| 194 | "ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" | 31000 | 21 | 0 | 21 | 2325 | 0 | 2325 | 30225 | 13 | 775 | 97.50 | 18.98 |
| 199 | "ოზურგეთის ჩაის საწონი ფაბრიკა" | 47000 | 5 | 0 | 5 | 1103 | 0 | 1103 | 46326 | 42 | 674 | 98.57 | 61.32 |
| 206 | "თბილკონტრაქტი" | 31000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 31000 | 0.00 | 0.00 |
| 229 | "სურამის ღვინის ქარხანა" | 32000 | 2 | 0 | 2 | 13 | 0 | 13 | 585 | 45 | 31415 | 1.83 | 65.70 |
| 240 | "ჭანდარი" | 46000 | 3 | 0 | 3 | 1017 | 0 | 1017 | 45765 | 45 | 235 | 99.49 | 65.70 |
| 244 | "ქუთაისის ავტოსერვ. "მოსკვიჩი" | 61500 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 61500 | 0.00 | 0.00 |
| 245 | "პოლიგრაფი" | 61000 | 1 | 0 | 1 | 1355 | 0 | 1355 | 60975 | 45 | 25 | 99.96 | 65.70 |
| 246 | "იყალთო-12" | 45000 | 2 | 1 | 3 | 1145 | 300 | 1445 | 44795 | 31 | 205 | 99.54 | 45.26 |
| 250 | "ელიტა" | 15000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 15000 | 0.00 | 0.00 |
| 263 | "თოლია" | 42000 | 4 | 0 | 4 | 483 | 0 | 483 | 21735 | 45 | 20265 | 51.75 | 65.70 |
| 280 | "ექსტრა-4" | 113000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 113000 | 0.00 | 0.00 |
| 282 | "ექსტრა-3" | 39000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 39000 | 0.00 | 0.00 |
| 283 | "გურჯაანი" | 225000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 225000 | 0.00 | 0.00 |
| 284 | "კახეთის გული" | 43000 | 3 | 0 | 3 | 905 | 0 | 905 | 40725 | 45 | 2275 | 94.71 | 65.70 |
| 291 | "ველისციხე" | 69000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 69000 | 0.00 | 0.00 |
| 293 | "გურჯაანის ავტოსატრანსპ. საწ." | 32000 | 1 | 0 | 1 | 712 | 0 | 712 | 31328 | 44 | 672 | 97.90 | 64.24 |
| 300 | "ლარი" | 18000 | 6 | 0 | 6 | 1136 | 0 | 1136 | 17040 | 15 | 960 | 94.67 | 21.90 |
| 301 | "აისი" | 102000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 102000 | 0.00 | 0.00 |
| 303 | "კედარი" | 4400 | 1 | 0 | 1 | 135 | 0 | 135 | 4320 | 32 | 80 | 98.18 | 46.72 |
| 307 | "აკურა" | 160000 | 4 | 0 | 4 | 2764 | 0 | 2764 | 124380 | 45 | 35620 | 77.74 | 65.70 |
| 310 | "სამგორი-94" | 92000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 92000 | 0.00 | 0.00 |
| 314 | "ლაო" | 191000 | 5 | 2 | 7 | 1302 | 675 | 1977 | 88965 | 45 | 102035 | 46.58 | 65.70 |
| 320 | "სიმონეთის ღვინის ქ-ნა" | 63000 | 3 | 0 | 3 | 1806 | 0 | 1806 | 61404 | 34 | 1596 | 97.47 | 49.64 |
| 337 | "იმედი" | 31000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 31000 | 0.00 | 0.00 |
| 341 | "ლედა" | 181000 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 181000 | 0.00 | 0.00 |
| 549 | "ნოჯიხევი" | 14500 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 14500 | 0.00 | 0.00 |
| 731 | "ბაქტერ. პრეპ.-ების საწ." | 19000 | 12 | 1 | 13 | 1202 | 85 | 1287 | 18030 | 15 | 970 | 94.89 | 21.90 |
| | სულ: | 2015800 | 162 | 4 | 166 | 19471 | 1060 | 20531 | 715302 | | 1300498 | 35.48 | |

# რესტრუქტურირების პროგრამის კომპონენტები

**რესტრუქტურირების პროცესი უცილობლად აღნიშნავს საქმიანობის რამდენიმე სახეობის ურთიერთზემოქმედებას:**

### ცვლილებები პოლიტიკაში

იგი გულისხმობს მკაცრ საბიუჯეტო შეზღუდვებს სახელმწიფო საწარმოებისთვის, გამოსვლის პროცედურების ან იმ პირობების ზუსტ განსაზღვრას, რომლებიც ხელს უწყობენ კონკურენციის განვითარებას (ანტისატრასტო კანონმდებლობა), ფასების განთავისუფლებას ენერგომატარებლებზე, ისეთზე როგორიც არის ნავთობი და ბუნებრივი გაზი, რაც საშუალებას მისცემთ მიაღწიონ საბაზრო დონეს და ა. შ. ყველა ეს საკითხი განეკუთვნება ისეთ დარგებს, რომლებიც უბიძგებენ საწარმოებს შეაფასონ თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა საბაზროსთან მიახლოებულ პირობებში.

### მართვის რესტრუქტურირება

მართვის რესტრუქტურირება მოიცავს მთლიან ქმედით კომპლექსს საწარმოს მიერ მართვის გაუმჯობესებისათვის და საწარმოში ორგანიზაციული სტრუქტურებისა და სისტემების დამკვიდრებისათვის, როგორც ოპერაციული ისე ადმინისტრაციული ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, ასე მაგალითად:

- საწარმოს რეორგანიზაცია მოგების ცენტრში.
- გასაღებისა და მარკეტინგის უნარების გაძლიერება.
- ფინანსური მართვის (მენეჯმენტის), ფინანსური ინფორმაციისა და ანგარიშგების, დანახარჯების აღრიცხვის საბუღალტრო სისტემის ჩათვლით, ხარისხის გაუმჯობესება, რაც საშუალებას აძლევს კომპანიებს კონტროლი გაუწიონ თავიანთი საქმიანობის შედეგებს (მოგება და ზარალი) საწარმოო პროდუქციის ცალკეული სახეობების, ქვედანაყოფების, მოგების ცენტრებისა და ა. შ. მიხედვით.
- ნაწარმოები პროდუქციის ხარისხისა და დიზაინური მახასიათებლების გამოყენებითი გამოკვლევებისა და განვითარების გაუმჯობესება;
- მმართველი პერსონალის, მუშებისა და მოსამსახურეების სწავლება.

მართვის რესტრუქტურირება არის სფერო, რომელიც, ალბათ, ყველაზე მეტ უკუგებას მოუტანს საწარმოებს რეგიონში. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი აღნიშნავს მმართველი პერსონალის მიერ იმ საუკეთესო გამოცდილების გაცნობასაც, რომელიც არსებობს დასავლეთში, ან საწარმოსათვის პირდაპირი ტექნიკური დახმარების გზით დასავლეთის კომპანიებთან პარტნიორული ურთიერთობების საშუალებით, ან ტექნიკური დახმარების პროგრამის საშუალებით, რომლის ფარგლებში საწარმოების მმართველები ჩამოდიან დასავლეთში აქაური ფირმების მოწინავე გამოცდილების გასაცნობად.

აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში არსებულ სიმძლავრეთა რეაბილიტაციის ან საწარმოო სიმძლავრეთა გაზრდისათვის ახალ მანქანებში და მოწყობილობაში ინვესტირების პროცესი ხშირად ემლებათ რესტრუქტურირების პროცესში. საწარმოთა მმართველები საწარმოო სიმძლავრეთა გაზრდის ამ უფრო ტრადიციულ ხერხს აუცილებლად განიხილავენ როგორც შემცვლელს ან რესტრუქტურირების უფრო ყოვლისმომცველი პროგრამის ალტერნატივას. მსოფლიო ბანკის გამოცდილება პროექტებში, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ძირითადად 80-იან წლებში სამრეწველო საწარმოთა რეაბილიტაციაზე, აჩვენებს, რომ თავისთავად ასეთი რესტრუქტურირება იშვიათად არის სიცოცხლისუნარიანი და მას თან უნდა ახლდეს რესტრუქტურირებისადმი უფრო დაბალანსებული მიდგომა, განსაკუთრებით საწარმოთა მართვის საკითხებში.

მიუხედავად ამისა ინვესტიციები ახალ ტექნოლოგიაში, მანქანებში და მოწყობილობაში და მათთან დაკავშირებული ინვესტიციები მუშათა შრომის დაცვისა და გარემოს დაბინძურებაზე კონტროლის გაუმჯობესებისათვის, სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვანი კომპონენტები იქნება ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში დასავლეთის სტანდარტებით მოძველებულ საწარმოთა უმეტესობის რესტუქტურირების პროცესისა, მოსალოდნელია, რომ ეს საწარმოები გაცილებით უფრო მოიგებენ მზარდი ინვესტიციებისაგან ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა კონტროლისა და ხელსაწყოებით აღჭურვის კომპიუტერიზებული სისტემების დანერგვა ნედლეულისა და ენერგიის დანაკარგების შემცირებისათვის, ხარისხის კონტროლისათვის. ისინი ასევე მნიშვნელოვნად მოიგებენ თანამედროვე შესაფუთი ხაზების დადგმით, მასალების განაწილებისა და მოძრაობის გაუმჯობესებულ სისტემათა დანერგვით.

### ფინანსური რესტრუქტურირება

აღმოსავლეთ ევროპაში რესტრუქტირება არსებითია ამჟამად მიმდინარე რესტრუქტურირებათა შორის. საწარმოს რესტრუქტურირება მთლიანობაში დაკავშირებულია ფინანსური სექტორის რესტრუქტურირებასთან, რაც მოითხოვს მთავარი ბანკების პორთფელთა პრობლემების გადაჭრას. ამიტომ საწარმოთა რესტრუქტურირება და ბანკების რესტრუქტურირება მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

საშუალო და ხანგრძლივი ვადის პერსპექტივაში საწარმოებს დასჭირდებათ კაპიტალი (როგორც საკუთარი სახსრები, ისე გრძელვადიანი კრედიტები) მოდერნიზაციის დაფინანსებისათვის. მიიღებენ თუ არა საწარმოები იმ სახსრებს, ეს უმეტესწილად დამოკიდებული იქნება კომერციული ბანკების სისტემის სიცოცხლისუნარიანობაზე, კაპიტალის სიცოცხლისუნარიანი ბაზრების ზრდაზე, უცხოელ ინვესტორთა სურვილზე — სახსრები ჩადონ მოცემულ რეგიონში. შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ უცხოელი ინვესტორები თან მოიყოლებენ საუკეთესო მმართველობით პრაქტიკას, თანამედროვე ტექნოლოგიას, თავისუფალ გზას ბაზრისაკენ და კაპიტალს მანქანებისა და დანადგარების დაფინანსებისათვის.

ფინანსური პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებებს კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც მათზეა დამოკიდებული საწარმოთა მმართველების მიერ მიღებულ სიგნალთა სისწორე. ეს გულისხმობს მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვების დაწესებას სახელმწიფო საწარმოებისათვის და სუბსიდიების, ცალმხრივი ტრანსფერტებისა და საწარმოებისათვის "რბილი" კრედიტების შემცირებას ცენტრალური ბანკის გზით. ძნელი დასაჯერებელია, რომ საწარმოთა მმართველები მანამდე შეუდგებიან რესტრუქტურირებას სანამ გარემო მყოფი პოლიტიკური ძალები არ აიძულებენ მათ საპასუხო ქმედებას. ამჟამად, მაგალითად პოლონეთის მთავრობა, მსოფლიო ბანკის დახმარებით ეძებს ქვეყნის საბანკო სექტორის რესტრუქტურირების გზებს, რათა როგორც ბანკები, ისე კომპანიები თავიანთი პორტფელებით მოამზადოს პრივატიზებისათვის. ამის მიღწევას დასჭირდება ბანკების რეკაპიტალიზაციის მთელი კომპლექსის გატარება, მათი პორტფელების რესტრუქტურირება უფრო პრობლემატური საწარმოების გამოყოფის გზით მუშათა ჯგუფების მიერ განხილვისა და როგორც საწარმოების, ისე ბანკების პრივატიზების მკაფიო საბოლოო ვადების დადგენისათვის.

წარმატებული რესტრუქტურირება გულისხმობს ყველა მისი ასპექტის ან კომპონენტის რთულ ურთიერთზემოქმედებას: ცვლილებებს პოლიტიკაში რესტრუქტურირების სტიმულირებისათვის, მართვის რესტრუქტურირებას, რაც მოითხოვს ტექნიკურ დახმარებას. საწარმოთა ტექნიკურ აღჭურვილობაში ინვესტიციებს და ფინანსურ კაპიტალს.

### 4. დამაკმაყოფილებელი რესტრუქტურირების წინაპირობები

დღესდღეობით რეგიონში რესტრუქტურირებისათვის არსებული პირობები ძალიან შორსაა ოპტიმალურისაგან. და მაინც ეჯახებიან რა მკაცრ სიძნელეებს, ისეთი ფაქტორის მეთაურობით, როგორიც არის ეროვნული მოთხოვნილების და საქონელზე მოთხოვნილების კრახი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, საწარმოთა უმეტესობა იძულებული გახდება ან რესტრუქტურირდეს ან გაკოტრდეს. რეფორმა როგორც მაკრო ისე მიკრო დონეზე ძალიან თანაბრად მიმდინარეობდა და მან შექმნა კლიმატი, რომელშიც ძნელია თავდაჯერებულობის შეძენა, რაც აუცილებელია მმართველისათვის თავის თავზე ინიციატივის ასაღებად რესტრუქტურირების ჩატარებაში.

### სტაბილურობა მაკროდონეზე

მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის საჭიროა, რომ ინფლაციის ტემპი დაეშვას უფრო დაბალ და სტაბილურ დონეზე, ფასებს პირველ რიგში ადგენდეს ბაზარი, საპროცენტო განაკვეთები კი ასახავდნენ ფონდების რეალურ ღირებულებას ისე, რომ ნედლეულს იყენებდნენ ეფექტურად, გაცვლითი კურსი კი ხელს უწყობდეს ექსპორტის განვითარებას.

### ვაჭრობის რეჟიმი

რესტრუქტურირება მოითხოვს ისეთი სავაჭრო რეჟიმის დადგენას, რომელიც უზრუნველყოფს საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას რეგიონის შიგნით და სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო რეჟიმის შექმნას აღმოსავლეთი და ცეტრალური ევროპის ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის შემდეგ-წარმოქმნილ რესპუბლიკებს შორის, როგორც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შემცვლელისა. ასევე საჭირო გახდება დასავლეთის ბაზრების გახსნა, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში, პრეფერენციის ან შეღავათიან პირობებში, რაც შეიძლება საკმაოდ რთული გამოდგეს ევროპაში მიმდინარე ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

### კონკურენცია

კონკურენცია სავალდებულო პირობაა საიმედო რესტრუქტურირებისა. ეს ნიშნავს მონოპოლისტური და ოლიგოპოლისტური სტრუქტურების დემონტაჟს, განსაკუთრებით განაწილებისა და ტრანსპორტის სფეროში. და იმ ასოციაციების, კონცერნებისა და პოლდინგის კომპანიების დაშლას, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ წინანდელი დარგობრივი სტრუქტურები. გარდა ამისა, პრივატიზების პროცესი ხელს უნდა უწყობდეს კერძო საწარმოთა კრიტიკული მასის წარმოქმნას, რომლებიც მზად იქნებიან საბაზრო პირობებში კონკურენციისათვის. ამას დასჭირდება მნიშვნელოვანი ცვლილებები საწარმოების მართვის კულტურაში, რაც მხოლოდ დროთა განმავლობაში მოხდება. ბევრ ქვეყანას მოუხდება გააუმჯობესოს როგორც საერთო კლიმატი, ისე კანონმდებლური რეგულირება კერძო ბიზნესისათვის. ეს აღნიშნავს საკუთრების ობიექტებისა და უძრავი ქონების თავისუფალი გაყიდვის შემოღებას, საქმიანობის ახალ სფეროებში ინვესტიციების შეღწევის გაიოლებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხარდაჭერასა და ბეგარის სისტემის მიღებას, რომელიც სტიმულებს შეუქმნის ინვესტირებასა და მოგებას. დროთა განმავლობაში რეგიონალურმა და მუნიციპალურმა ხელისუფლებამ საწარმოებიდან უნდა მიიღონ სოციალური აქტივები, განსაკუთრებით საცხოვრებელი ბინები, რაც გაზრდის მუშა ძალის მობილურობას.

### ინფრასტრუქტურა

რეგიონალური ინფრასტრუქტურის და მომსახურების სფეროს დიდი ნაწილი სრულად არ შეესაბამება დონეს, რაც აუცილებელია მრეწველობის თანამედროვე დარგების მხარდასაჭერად. ისეთი დარგები, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები, საავტომობილო გზების ქსელი და საჰაერო ტრანსპორტი ამჟამად მსგავსი შეუთავსებლობის მაგალითებს წარმოადგენენ. ინფრასტრუქტურა და მომსახურების სფერო თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნებს რომ პასუხობდნენ, აუცილებელია პრივატიზების გაფართოება და კერძო ბიზნესის განვითარების პირობების უზრუნველყოფა ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი მომსახურების სფეროში.

### საფინანსო სექტორი

საფინანსო სექტორი, რომელიც მოიცავს კომერციულ ბანკებსა და წარმოქმნილ კაპიტალის ბაზრებს, უნდა გაფართოვდეს მოთხოვნითი ფინანსებით მრეწველობის უზრუნველყოფისათვის. კომერციული ბანკებისათვის, რომელთა საკითხი ზემოთ განიხილებოდა, აუცილებელი იქნება ტექნიკური დახმარება და ერთნაირი მხადაჭერა რამდენიმე მომდევნო წლის განმავლობაში საერთაშორისო ბანკების დონის ე. ი. კონკურენტუნარიანობის მისაღწევად. გრძელვადიან პერსპექტივაში ისეთი ქვეყნებისათვის როგორიცაა ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი და რუსეთი, კრიტიკული მნიშვნელობა ექნება კაპიტალის ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც დაკავშირებულია მასობრივი პრივატიზების პროგრამის განვითარებასთან. საწარმოებში საფუძველი სტრუქტურული ცვლილებებისათვის მთავარ ინვესტირებაზე აქციების მიყიდვით უზრუნველყოფილი იქნება საინვესტიციო ფონდებით, რომლებიც შემადგენელი ნაწილია თითოეული ამ პროგრამისა, არასაბირჟო ვაჭრობის სისტემებით და მათი მხარდამჭერი ინსტიტუტებით. ბოლოსდაბოლოს კაპიტალის უფრო მძლავრი ბაზრები საშუალებას შეუქმნიან საბაზრო დისციპლინას ზეგავლენა მოახდინოს საწარმოზე, რათა მათ გააუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა.

მიმდინარე სიტუაციის გათვალისწინებით უმეტეს ქვეყნებში ცხადია, რომ რესტრუქტურირება უნდა დაიწყოს სამრეწველო სექტორის მდგრადი ზრდისა და მოდერნიზაციისათვის წინაპირობების ჩამოყალიბების პარალელურად. მაგრამ მაინც რჩება კითხვები: რა დარგები? ვინ გაატარებს რესტრუქტურირებას? და ყველაფერი ეს როგორ გატარდება იმ მომენტამდე, სანამ არ მომწიფდება რესტრუქტურირებისათვის, რასაც მეტწილად საბაზრო ძალები ამოძრავებენ.

### 5. საწარმოს რესტრუქტურირება: რა არის საჭირო. რესტრუქტურირება პრივატიზებამდე

აღმოსავლეთ ევროპაში, როგორც ჩანს, დაუსრულებელი დებატები მიმდინარეობს რესტრუქტურირების ჩატარების დროის თაობაზე პრივატიზებასთან დაკავშირებით. რესტრუქტურირების პროცესი წინ უნდა უსწრებდეს თუ შემდგომ მოსდევდეს პრივატიზაციას? უმეტეს შემთხვევაში ეს არ არის განხილვის საგანი. პრივატიზება არ წარმოადგენს თვითმიზანს. სინამდვილეში ეს არის ინსტრუმენტი ან დამხმარე საშუალება რესტრუქტურირებისა.

არსებული ათასობით საშუალო და მსხვილი საწარმოს გათვალისწინებით, რომლებიც ექვემდებარებიან აუცილებელ რესტრუქტურირებას ამ ქვეყნებში, ერთადერთი ლოგიკური არჩევანი იქნება პირველდაწყებითი პრივატიზება. ეს მოახდენს პრობლემის დეცენტრალიზაციას და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მოაქცევს ახლადშექმნილ მესაკუთრეებისა და მმართველების ხელში (პრივატიზების შედეგად ერთი და იმავე პირით წარმოდგენილი).

მასობრივი პრივატიზების რუსეთის, ჩეხეთისა და პოლონეთის პროგრამები სწორედ ამ მიზნების მისაღწევად არის დაპროგრამებული.

### რესტრუქტურირება პრივატიზებასთან ერთად

თუმცა არსებობს გარკვეული რაოდენობით საწარმოები და დარგები, რომელთა რესტრუქტურირება აუცილებლად უნდა ჩატარდეს პრივატიზებასთან ერთდროულად. უფრო მოსალოდნელია, რომ ესენი იქნებიან უდიდესი საწარმოები, რომელთა რესტრუქტურირებას გაართულებს სოციალური ხასიათის საგარეო ვითარებანი, როგორიცაა მუშა ძალის იძულებითი დათხოვნა, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე აქტივთა მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემა ან ისეთ დასახლებებში მდებარე ქარხნების დახურვა, რომლებიც მთლიანად ამ საწარმოზეა დამოკიდებული. მოცემულ კატეგორიაში ხვდებიან ლითონჩამომსხმელი მრეწველობის, მძიმე მანქანათმშენებლობისა და მომპოვებელი მრეწველობის საწარმოები.

სხვა საწარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება იმ პოლიტიკური საკითხების გადაჭრას, რომლებიც მოქმედებენ როგორც თვითონ საწარმოების, სოციცხლისუნარიანობაზე, ისე ეკონომიკის სხვა სექტორებზეც. ამიტომ, მანამდე სანამ ეს საწარმოები შეძლებდნენ შესაბამისი სახით რესტრუქტურირებას, აუცილებელია განხილულ იქნეს პოლიტიკის კრიტიკული საკითხები მთლიანად მთელი მრეწველობისათვის დარგობრივ დონეზე. მაგალითად, მინერალური სასუქების წარმოება დამოკიდებულია ბუნებრივი გაზის ფასებზე დარგსშიგნით ფირმების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრისას, ფირმებისათვის სუბსიდიების ზომასა და არსებობაზე, თუ ასეთი არის, ტრანსპორტის განაწილების სისტემისა და საცალო ვაჭრობის დემონოპოლიზაციის ხარისხზე საბოლოო მომხმარებლისათვის საქონლის ეფექტური მიტანისა და საკუთრების შესაბამისი სტრუქტურის უზრუნველსაყოფად. მსგავსი ტიპის წარმოებები უნდა დაექვემდებაროს დარგობრივ დონეზე რესტრუქტურირებას, როგორც პრივატიზებასთან ერთდროულად მიმდინარე რესტრუქტურირების საერთო პროცესის ნაწილი.

სხვა საწარმოებისათვის, რომლებიც განეკუთვნებიან კომუნალური მომსახურების სფეროს (ბუნებრივი მონოპოლიები), აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლური რეჟიმები და ინსტიტუტები ეფექტურობის ზრდის უზრუნველსაყოფად. ამიტომ, ისეთი დარგებისათვის, როგორიცაა ენერგეტიკული და სატელეკომუნიკაცი, აუცილებელია მათ პრივატიზებასთან პარალელურად ან ერთდროულად შეიქმნას საკანონმდებლო პირობები. მაგალითად, სატელეკომუნიკაციო დარგში ბევრი ქვეყანა ლიბერალიზებასა და პრივატიზებას უტარებს მომსახურებას, დაკავშირებულს დამატებით ღირებულებასთან, ისეთს, როგორიცაა ინფორმაციის გადაცემა, სატელეფონო კავშირი, საკაბელო ტელევიზია და ფეიჯინგი. ამისათვის საჭიროა მკაფიო იურიდიული და საკანონმდებლო რეჟიმი ამ მიმართებით დარგის რესტრუქტურირების მიზნით.

რიგ ქვეყნებში, როგორებიცაა რუსეთი და სლოვაკეთი, არსებობს სამხედრო-საწარმოო კომპლექსის ბევრი საწარმო. მაგალითად, რუსეთში 2000 ასეთ საწარმოს ითვლიან, ისინი ხშირად კონცენტრირებულია ცალკეულ რეგიონებში, სპეციალურ ზონებში ან დასახლებულ პუნქტებში. აშკარაა, რომ ასეთი ქარხნების კონვერსია პირველი რიგის ამოცანაა რუსეთის ეკონომიკისათვის. ასეთ საწარმოებში ასევე თავმოყრილია დაგროვილი სამეცნიერო და ტექნიკური კაპიტალი, როგორც ადამიანთა რესურსების, ისე სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებათა სახით. ამიტომ ამ ფარული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება კრიტიკული მნიშვნელობის მატარებელია რესტრუქტურირების პროცესისათვის.

### სახელმწიფო საწარმოთა რესტრუქტურირება

მსხვილ საწარმოთა შორის, ალბათ, წარმოებები, რომლებიც მიეკუთვნებიან ბუნებრივი მონოპოლიების რიცხვს და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ დარჩებიან გარკვეული დროის განმავლობაში. ამის გარდა, ბოლომდე არ არის გარკვეული, როგორ შეძლებენ ამ ამოცანის თავის თავზე აღებას მთავრობები მიმდინარე პრივატიზების პროგრამების დინამიკისა და თანამედროვე სახელმწიფო მმართველობის შეუთავსებლობის და იმ ფორმათა სიმრავლის გათვალისწინებით, რომლებსაც უნდა ჩაუტარდეს რესტრუქტურირება. მთავრობებისათვის ბიძგის მიცემა გადაწყვეტილების მისაღებად, თუ რომელ ფირმებს უნდა ჩაუტარდეს პრივატიზება ინდივიდუალურ საფუძველზე და რომელ ფირმებს რესტრუქტურირება ისე, რომ სახელმწიფო ხაწარმოებად დარჩნენ, ნაადრევი იქნება და შეიძლება ბევრ შემთხვევაში ზიანიც მიაყენოს პრივატიზების პროცესს.

მთლიანობაში საუკეთესო გადაწყვეტილებად ჩაითვლებოდა ამ პროცესის დეცენტრალიზება და რაც შეიძლება მეტი კომპანიის სწრაფი პრივატიზებისათვის ხელშეწყობა. არსებული ტექნიკური და ფინანსური დახმარების შემთხვევაშიც კი მთავრობებს უბრალოდ არ შეუძლიათ რეალურად რესტრუქტურირება ჩაუტარონ ასობით უმსხვილეს სახელმწიფო საწარმოს. ამ მიმართულების ნებისმიერი ცდა უთუოდ რეფორმის შენელებამდე, მიგვიყვანს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სექტორში და ამით უარყოფითად იმოქმედებს მთლიანად მაკროეკონომიკურ რეფორმაზე.

### 6. დასკვნა

რეგიონის ქვეყნების უმრავლესობა სხვადასხვა გზებით იბრძვის პრივატიზების საკითხების პოლიტიკური გადაწყვეტისა და რესტრუქტურირების სწორი შეთავსებისათვის. პასუხი სახეცვლილებას განიცდის — სახელმწიფო კონტროლის ქვეშ პრივატიზებასთან ერთდროულად მსხვილი კომპანიების რესტრუქტურირებისათვის პორტფელების გამოყოფიდან, რესტრუქტურირების ჩატარებამდე, რაც დაკავშირებულია ფინანსური სექტორის რეფორმასთან და კომერციული ბანკების რესტრუქტურირებასთან, პრივატიზებამდე სწრაფი ან მასობრივი პრივატიზების პროგრამის შესაბამისად კომპანიების რესტრუქტურირებაში სახელმწიფოს წინასწარი ჩარევის გარეშე. რამდენადაც ყველა ეს ინიციატივა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, მცირე მონაცემები არსებობს იმის შესახებ, თუ რომელი ვარიანტი იძლევა საუკეთესო შედეგებს. თუმცა აშკარაა, რომ მთავრობებს ძლიერ შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ რესტრუქტურირების პროცესის ხელშეწყობისათვის. ამიტომ უნდა მოხდეს ამ პროცესის დეცენტრალიზება მაქსიმალურად შესაძლო ხარისხით და ეს უნდა ჩატარდეს ახალი, კერძო მესაკუთრეების მიერ.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. "პრივატიზების მაცნე" № 15.

# DIGEST • DIGEST • DIGEST • DIGEST • DIGEST

### ხელმოწერილია განკარგულება წლის ბოლომდე ელექტროენერგიისა და გაზზე ტარიფების დაცვის შესახებ

რუსეთის ფედერაციის მთავრობის მეთაურმა ვიქტორ ჩერნომირდინმა ხელი მოაწერა განკარგულებას ელექტროენერგიასა და გაზზე ტარიფების წლის ბოლომდე შენარჩუნების შესახებ.

ვიქტორ ჩერნომირდინმა დაპირება — ტარიფებზე და ეგრეთწოდებულ "უნებრივ მონოპოლიებზე" (თბოსაწარმოები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა) არ დაუშვან ფასების ზრდა — გააკეთა სახელმწიფო სათათბიროს პლენარულ სხდომაზე, სადაც გამოვიდა ინფორმაციით ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. იმავდროულად პრემიერმა მოუწოდა რეგიონალურ ხელმძღვანელებსა და სხვა საწარმო-მონოპოლისტთა დირექტორებს შეუერთდნენ სამთავრობო პოლიტიკას წელს ფასების ზრდის შეჩერების თაობაზე საქონელზე და "ბუნებრივი მონოპოლიების" მომსახურებაზე. შემდგომი წლიდან დაწყებული ფასების ზრდა საქონელზე და "ბუნებრივი მონოპოლიების" მომსახურებაზე მთავრობის გადაწყვეტილებით შეიზღუდება საშუალოდ 70 პროცენტით ქვეყანაში ინფლაციის დონესთან შედარებით.

### "მოსენერგოს" აქციები ოფიციალურად აღიარეს ფასიან ქაღალდებად მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე

დასავლეთის მთელი საქმიანი და პოლიტიკური სამყაროსათვის ჭეშმარიტ სენსაციად იქცა ლონდონში გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის კომპანიამ ოფიციალურად მიიღო საშვი კერძო კაპიტალის მსოფლიო ბაზარზე. "მოსენერგოს" აქციებს, რომელიც აწარმოებს მთელი ელექტროენერგიის 80 პროცენტს რუსეთში, გზა გაეხსნათ მთავარი მსოფლიო ფინანსური ცენტრისაკენ.

ამით ვ. ჩერნომირდინის მთავრობამ შეძლო თითქმის შეუძლებელი — იმ დროს როცა ჯერ მიღებული არ არის საბოლოო გადაწყვეტილება ყოფილი სსრ კავშირის ვალების გადავადების შესახებ რუსეთის კომპანიას უკვე გზა გაეხსნა მსოფლიოს პრაქტიკულად განუსაზღვრელი კერძო ფინანსური რესურსებისაკენ. "მოსენერგოს" კვალდაკვალ ფასიანი ქაღალდების დასავლეთის ბაზრებზე შეაღწევენ სხვა საიმედო რუსული ფირმებიც, რაც არა მარტო მყარი ვალუტის მიღების საშუალებას ქმნის თავის აქციებზე, არამედ მათ პირდაპირ ჩართავს მსოფლიო ეკონომიკაში.

ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკებების შემდეგ მსოფლიოს წამყვანმა საინვესტიციო კომპანია "სალომონ ბრაზერსმა" მიაღწია "მოსენერგოს" იმ კომპანიათა სიაში შეტანას, რომლებითაც ნებადართული აქვთ თავიანთი ფასიანი ქაღალდები განათავსონ აშშ-ის კომერციულ ბაზარზე. როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტისათვის გახდა ცნობილი, აშშ-ის რიგმა უმსხვილესმა საპენსიო ფონდებმა გამოთქვეს სურვილი შეისყიდონ "მოსენერგოს" აქციები. როგორც იტარ-ტასის კორესპონდენტთან საუბარში "სალომონ ბრაზერსის" წარმომადგენელმა აღნიშნა, "რუსეთის კომპანიებისათვის იწყება ახალი ერა", რადგანაც მათ შეეძლებათ აქციების გაყიდვა ლონდონში, ნიუ-იორკში, ფრანკფურტში.

მოსალოდნელია, რომ სულ მოკლე დროში "მოსენერგო" მიიღებს 20 მილიონამდე აშშ დოლარს ამერიკელი კერძო მეანაბრეებისაგან.

### 1996 წელს დაახლოებით 707 მილიარდი რუბლი გამოიყოფა რუსეთში მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად

707 მილიარდი რუბლი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან რუსეთში მცირე ბიზნესის დასახმარებლად 1996 წელს. ამ თანხების მიღებას ვარაუდობენ პრივატიზების ფედერალური პროგრამის რეალიზაციის შედეგად, აღნიშნა ეკოტასის კორესპონდენტთან საუბარში მცირე მეწარმეობის მხარდაჭერისა და განვითარების სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ პროხოროვმა.

მისი სიტყვებით, შემდგომში დაგეგმილია უარი თქვან მცირე ბიზნესისათვის პირდაპირ სახელმწიფო მხარდაჭერაზე. მხედველობაშია ფედერალურ და რეგიონალურ დონეებზე შექმნან ფონდების სისტემა, რომელთა სახსრებს ანგარიშზე გარანტია მიეცემა პოტენციური ინვესტორების კომერციულ რისკს. ამას გარდა გათვალისწინებულია არსებითად გაფართოვდეს ლიზინგის (გრძელვადიანი არენდების) პრაქტიკა.

ვ. პროხოროვს მიაჩნია, რომ პერსპექტივაში დინამიურად განვითარებადი მცირე და საშუალო საწარმოების დახმარებით რუსეთი გამოვა ეკონომიკური კრიზისიდან. მან აღნიშნა, რომ 1994 წელს მოსკოვის ბიუჯეტში საბეგარო გადასახადების ნახევარზე მეტი შევიდა სწორედ მცირე ბიზნესის საწარმოებისაგან. აშშ-ში მაგალითად ეს თანხა კიდევ უფრო მეტია — ცალკეულ ქალაქებში იგი 80 პროცენტს აღწევს.

ამიტომ, სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელის აზრით, შემდგომშიც აუცილებელი იქნება შენარჩუნებულ იქნას შეღავათიანი დაბეგვრა მცირე საწარმოებისათვის, აგრეთვე კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სალიზინგე ოპერაციებს. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო კომიტეტს უახლოეს ხანში განზრახული აქვს მთავრობაში წარადგინოს შესაბამისი წინადადებები.

### ანატოლი ჩუბაისი: "მომავალ წელს რუსეთში დაიწყება ეკონომიკური აღმავლობა"

"დასახული ამოცანები ძირითადად ხორციელდება" — ასე დაახასიათა რუსეთის მთავრობის ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციის მიმდინარეობა რუსეთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრემიერმა ანატოლი ჩუბაისმა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მმართველთა საბჭოს ყოველწლიურ კრებაზე წარდგენილ მოხსენებაში, რომელიც 11 ოქტომბერს გავრცელდა ვაშინგტონში როგორც ფორუმის ოფიციალური დოკუმენტი, მან მიუთითა, რომ იანვრიდან სექტემბრამდე (ჩათვლით) რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა დაახლოებით 3 პროცენტი წინა წლის 10 პროცენტთან შედარებით.

"წლის დასაწყისიდან ორჯერ და მეტად გაიზარდა ოფიციალური სავალუტო რეზერვების მოცულობები. სავალუტო კურსის მერყეობის კორიდორის შემოღებამ საშუალება მოგვცა უზრუნველგვეყო რუბლის შედარებითი სტაბილურობა, — აღნიშნულია მოხსენებაში — იმავდროულად მიმდინარეობდა წარმოების დაცემის შენელება, მრეწველობის ზოგ დარგებში კი — პირველ რიგში საექსპორტოში — განახლდა ეკონომიკური აღმავლობა. მთლიანად 9 თვეში დაცემამ შეადგინა 45 პროცენტი შარშანდელ 16 პროცენტთან შედარებით. ველოდებით, რომ მომავალ წელს რეფორმის დაწყებიდან პირველად რუსეთში შეინიშნება ეკონომიკური აღმავლობა".

### რუსეთი გეგმავს გაზარდოს ელექტროენერგიის ექსპორტი

რუსეთის ენერგეტიკოსები გეგმავენ მომავალ წელს გაზარდონ ელექტროენერგიის ექსპორტი დ.ს.კ-ის და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამის შესახებ განაცხადა "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემების" (რაო) პეზიდენტმა ანატოლი დიაკოვმა. ეს მან თქვა მოსკოვში საერთაშორისო გამოფენა "ენერგოპროგრეს-95"-ის ჩარჩოებში დარგის განვითარების პერსპექტივებზე მიმდინარე სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე.

ანატოლი დიაკოვის სიტყვებით, ჯერჯერობით რუსეთის ელექტროენერგიის ექსპორტი დაბალ დონეზეა. ამავე დროს მისი შეფასებით, რუსეთს შეუძლია ყოველწლიურად გაყიდოს დაახლოებით 20 მილიარდი კილოვატ-საათი. უკანასკნელ ხანებში, განაგრძო მან, გაჩნდა რეალური წანამძღვარები რუსეთიდან ელექტროენერგიის ექსპორტის გაზრდისათვის. რუსეთის ელექტროენერგიის მოწოდებაზე დაინტერესებას სულ უფრო და უფრო ხშირად გამოთქვამენ ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები. დადებულია ხელშეკრულება უკრაინისა და რუსეთის ენერგოსისტემების ურთიერთქმედებასა და რუსეთის ელექტროენერგიის მისი ტერიტორიის გავლით ევროპის ქვეყნებში ტრანზიტის შესაძლებლობაზე.

## ჩვენი ლექსიკონი

**აუდიტი** — საწარმოს მეურნეობის შესახებ ფინანსური მონაცემების შემცველი ანგარიშგება, რომელიც აუცილებელია სესხის ასაღებად ან საწარმოს ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე დასაბანდებლად. ყველაზე საიმედო, ანგარიშგასაწევია დიპლომირებული დამოუკიდებელი ბუღალტრის მიერ გაკეთებული ანგარიშგება.

**აუდიტორი** — დამოუკიდებელი რევიზორი აუდიტორთა ფირმიდან. ეს ფირმები ბანკების ან კომპანიების შეკვეთით ატარებენ მათ რეგულარულ შემოწმებას, რათა დაადგინონ შემკვეთთა გადამხდელუნარიანობა, რენტაბელობა, გააანალიზონ საწარმოთა კომერციული საქმიანობა, გასცენ ინფორმაცია ბაზრების მდგომარეობაზე და ა.შ.

**აუტსაიდერი** — ეს არის წვრილი (ზოგჯერ საშუალოც) საწარმო ან კაპიტალისტი, რომელიც არ შედის მის დარგში შექმნილ მონოპოლისტურ გაერთიანებაში. მათ არსებობას განაპირობებს ცალკეულ დარგებში ფასებისა და მოგების ამაღლება, კაპიტალის მოზღვავება, შიდაკარტელური კონკურენცია.

**ბეგარა** — კერძო და იურიდიული პირებისაგან ასაკრეფი (ან აკრეფილი) სახელმწიფო გადასახადი. არსებობს მისი 2 ძირითადი სახე. პირველი — პირდაპირი გადასახადი, რომლითაც იბეგრება ქონება და შემოსავალი, მეორე — არაპირდაპირი გადასახადი (აქციზი), რომელსაც შეიცავს საქონლის ფასი და მომსახურების ტარიფი.

ბეგარა სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

**ბითუმად მოვაჭრე** - დამოუკიდებელი კომერციული საწარმო, რომელიც იძენს საკუთრების უფლებას მისთვის საინტერესო სახის გარკვეულ პროდუქციაზე.

**ბოიკოტი** — პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის ხერხი, რომელიც გამოიხატება ურთიერთობის შეზღუდვაში, გარკვეული სახეობის საქონლის მოწოდების შეწყვეტაში.

**ბონები** — არსებობს ბონების ორი სახე: პირველი — ეს არის საგადასახდელო ვალდებულება, რომელსაც უშვებს სახელმწიფო, ცალკეული დაწესებულება ან ორგანიზაცია, მეორე — ეს არის მცირე ღირებულების ქაღალდის ფულის ნიშნები, რომელიც მიმოქცევაშია დროებით.

**გადასახადის ნარჩენი** — გადასახადის (სხვა საგადასამხდელო ვალდებულების) თანხა, რომელიც სახელმწიფოს მიერ დადგენილ ვადაში არ არის შეტანილი შესაბამის დაწესებულებაში.

**გაყიდვისწინა სერვისი** — საქონლის ტრანსპორტირების შემდეგ მომხმარებლის ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს ჩატარებული სამუშაოთა კომპლექსი. მისი მიზანია საქონელს მიეცეს სასაქონლო სახე და მომზადდეს მომხმარებლისათვის.

**გაშიფრვა** — კომუნიკაციური პროცესი, რომლის დროს გამომგზავნის მიერ გადმოცემულ სიმბოლოებს ზუსტ მნიშვნელობას აძლევს ინფორმაციის მიმღები.


ქართული კულტურისა და რეკლამის საგარეო-ეკონომიკური რესპუბლიკური ფირმა „ბენეფისი" გაცნობებთ, რომ ფირმის ბაზაზე შექმნილია თანამედროვე უცხოური ტექნიკით აღჭურვილი პოლიგრაფიული საწარმო

ჩვენ მზად ვართ შევქმნათ შემდეგი სახის პროდუქცია:

1. წიგნები, ბროშურები, პლაკატები.
2. საბუღალტრო, საკანცელარიო, სამსახურეობრივი ბლანკები, პირადობის მოწმობები.
3. სიგელები, დიპლომები და საიუბილეო მისალოცი ადრესები.
4. ნებისმიერი ტექსტის თარგმანი, კორექტურა და სტილი.
5. ვიდეო გადაღება, ვიდეო მონტაჟი, ვიდეო აპარატურის გაქირავება.

ფირმა მოემსახურება საწარმოებს როგორც ფირმის ასევე დამკვეთის მასალით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს ფირმაში შეიქმნა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ატრიბუტიკა: ლარი, ვაუჩერი, ხურდა ფული, კუპონი, ქართული პასპორტი, პირადობის მოწმობები.

ჩვენ გთავაზობთ ურთიერთ თანამშრომლობას მაღალი ხარისხის გარანტიით და ფინანსურად ხელსაყრელი პირობებით.

შესრულებულ სამუშაოთა ანაზღაურება მოხდება ნებისმიერი ფორმით.



გაზეთის დამფუძნებლები არიან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივი.

„პრივატიზების მაცნე" რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. სარეგისტრაციო ნომერია 0893

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.

რედაქციაში დასაბეჭდად წარმოდგენილ წერილებში დასახელებული ფაქტების, ციფრების, სახელებისა და გვარების სიზუსტეს უზრუნველყოფენ ავტორები. დედნებში დაშვებულ შეცდომებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება. დედნები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ავტორებს გთხოვთ ნუ შემოგვთავაზებენ თაბახის 7 გვერდზე ვრცელ წერილს. რედაქცია არ იღებს ხელნაწერებს.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.11..95 წ.

პრივატიზების მაცნე
ინდექსი 66630

რედაქციის მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზირი, 64 ტელ. 99-93-07; 29-35-90.

გაზეთი დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა "სამშობლოში" მ. კოსტავას ქ. № 14.

სარედაქციო კოლეგია